პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
კვირა
7
სექტემბერი
№ 210
(16336)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

СССР

СКСС XXV ყრილობის პატივსაცემად

საყრილობო ვაზტზე

დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, უზრუნველვყოთ მეცხოველეობა საკუთარი წარმოების საკვებით, მივცეთ სამშობლოს 425.000 ტონა ყურძენი, წარმატებით შევასრულოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმები — ყველაზე საუკეთესო საჩუქარია ყრილობისათვის.

ბოლნისელ მეკარტოფილეთა წარმატება

ბოლნისის რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 26.100 ტონა კარტოფილი, 6.100 ტონით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო გეგმით და 1.100 ტონით მეტი, ვიდრე ვალდებულება ითვალისწინებდა

ბოლნისის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, მოიწიეს საგაზაფხულო კარტოფილის უხვი მოსავალი და შეასრულეს სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი.

რაიონის მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 26.100 ტონა კარტოფილი — 6.100 ტონით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო გეგმით და 1.100 ტონით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო ვალდებულებით. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე საერთო საკავშირო ფონდში კარტოფილის გაგზავნის გეგმები. მოსკოვის, ლენინგრადის, ქვეყნის სხვა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშრომელებს გაეგზავნა 10.000 ტონაზე მეტი კარტოფილი.

მიღწეული წარმატება კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მექანიზატორების, მიმღები პუნქტების მუშაების თავდადებული შრომის შედეგია. მათ გამოიჩინეს მაქსიმალური ორგანიზებულობა, ტექნიკის გამოყენების უნარი, ყოველი ღონე იხმარეს, რათა დროზე აეღოთ და გადაეზიდათ მოსავალი.

ბოლნისელი მეკარტოფილეები პირველად რიდი უპატაკებენ სამშობლოს სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებას, — თქვა პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბიორბაძემ, — მათ შორისაც მოიყვანეს კარტოფილის უხვი მოსავალი.

მომდინარე წლის მარტში პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ჩვენს მეკარტოფილეებს გადასცეს ხაჭართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მაშინ ბოლნისელმა მეკარტოფილეებმა იკისრეს ვალდებულება სახელმწიფოს მიჰყიდონ 25.000 ტონა საადრეო კარტოფილი და მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა მიწათმოქმედს გაზარდონ ამ ძვირფასი ხასურსათო კულტურის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა ბრიგადების და რგოლების სოციალისტური შეჯიბრება. კარტოფილი დაირგო აგროტექნიკურ ვადებში. 100 ჰექტარზე დაითესა იაროვიზებული კარტოფილი, რათა უფრო ადრე მიეღოთ მოსავალი.

კარგი მოსავალი მიიღეს არახლოსა და ხარაჩლოს მეკარტოფილეობა-მერძევეობის, ფანარეთის მევენახეობის ხაბეოთა მეურნეობების, ქვეშისა და მუშევანის კოლმეურნეობათა ჭიშათმოქმედებმა. შრომითი მაჩვენებლების გამოიჩინეს მეკარტოფილეებმა ხ. აბედოვმა, ა. ყასუმოვმა, რ. ალაზოვმა, ო. ორუჯევმა, რ. მამულაშვილმა, ა. ავეტიანმა და სხვებმა.

მიწათმოქმედებს დიდი დახმარება გაუწიეს ხაჭართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ხალინინტორმ, რეგიონალურმა „ხაჭსოფლტექნიკამ", „ამირკავკასიის რკინიგზის სამმართველომ. (საქინფორმი).

შეჯიბრების მოწინააღმდეგენი

ექვსი წლის წინათ საშუალო სკოლის და პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა თბილისის სართავ-ხატრიკოტაჟო კომბინატში ნასული ჯიმშელეიშვილი და სართავ-ხაძახავი მანქანები ჩაიბარეს. ახალგაზრდამ პროფესიის დიდი სიყვარული გამოიჩინა და მოკლე ხანში წარმატებას მიაღწია, კომუნისტური შრომის დამკვრელი გახდა,

მოწინავე მრთველ-ძმახავი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია, იგი კომპარტიის კომკავშირული ორგანიზაციის აქტივისტია. მას დიდი ნდობა გამოუცხადეს — აირჩიეს ხაჭართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში

მიზანი: ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულება

გაიმართა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიის ზონიერთი საქალაქო კომიტეტის მდივნები, პროფკავშირთა მთელი რიგი რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეები.

სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. კოლბინმა.

ინფორმაცია მიმდინარე წლის რვა თვეში რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ჩოფიკაშვილმა. ამ საკითხზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. ბაგმეისლიძე, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ვ. შუბითიძე, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი რ. კონცელიძე. ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ბ. ჭაბაბიძე, ციკავშირის კომკავშირის ბაკურიანის რაიონული კომიტეტის პირველი მოადგილე ა. კოტანიძე.

ითქვა, რომ რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, პროდუქციის რეალიზაციის რვა თვის გეგმა შეასრულეს ვადამდე 25 აგვისტოს და გეგმის ვადაჭარბებით გაანაღდეს 124,7 მილიონი მანეთის პროდუქცია. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 110,3 პროცენტი შეადგინა. მთლიანად პროდუქციის საშუალო-სადღეღამისო გამოშვების დინამიკა გვიჩვენებს, რომ, როგორც წესი, პროდუქციის საღღეღამისო წარმოების მოცულობა ყოველთვიურად იზრდება; აგვისტოში მან შეადგინა 10,3 მილიონი მანეთი იანვრის 7,1 მილიონთან შედარებით. მაგრამ ყოველი კვარტალის პირველ თვეებში პროდუქციის საშუალო-სადღეღამისო გამოშვება წინა თვეში მიღწეულზე ნაკლები იყო.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 8,2 პროცენტით გაიზარდა. ამ მაჩვენებლების ზრდის ხარჯზე მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების 81,6 პროცენტი.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის საწარმოების — გაერთიანებებმა: „ელექტროაპარატისა" და „საქპოლიმერტარის"; ორჯონიკიძის სახელობის, „ამირანის" და პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, ქიმკომბინატის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, „საქქვანძშირის" კომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

წარმატებით სრულდება საწარმოო კოლექტივების მიერ მიღებული შემზღუდავი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. წლის დამდეგიდან გეგმის ვადაჭარბებით გამოშვებულია 134.4 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია, რაც წლიურ ვალდებულებათა საერთო მოცულობის 67,2 პროცენტს შეადგენს.

ამასთან ერთად სხდომაზე აღინიშნა, რომ წლის დამდეგამდე დარჩენილ პერიოდში რესპუბლიკის მრეწველობამ კიდევ უფრო დაძაბულად უნდა იმუშაოს და მიაღწიოს 22 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქციის საშუალო-სადღეღამისო გამოშვებას. ამისათვის მთელი ძალები უნდა დაიხარჯოს, რათა სექტემბერში ოზურგეთელოდ სამშობლოთა სწორი ტემპი, ვადაჭარბებით შეასრულოთ ცხრა თვის გეგმა და მიაღწიოთ ადრევალში ხელსაყრელი პირობები შექმნათ მუშაობისათვის.

ეს ამოცანა რთულია იმით, რომ მთლიანად სამინისტროებსა და უწყებებში გეგმის შესრულებასთან ერთად ადეკვატური საწარმოოთა ჩამორჩენიან. სიტუაცია მდგომარეობა იქ შეშფოთებას იწვევს.

ჩამორჩენა აქვთ საშინ მასალათა მრეწველობის, მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებს, მთელი რიგი სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებს. ეს საწარმოებია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, კვაისის ტყვია-თუთიის სამმართველო, საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმია", თბილისის ვაზის აპარატურის ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანა", ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა, სოხუმის ხელსაწყოთსაშენებელი ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები. ზოგიერთ შემთხვევაში ჩამორჩენას ობიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ ემრავლეს შემთხვევაში მიზეზი ის არის, რომ რიგიანად ვერ ხელმძღვანელობენ საწარმოებს, ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს; არის აგრეთვე მოელი რიგი სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის მიზეზები, რომლებიც დამოკიდებულია თვით საწარმოებსა და მათს სამინისტროებზე.

სხდომაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ წლიური გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, ხუთწლიანის მიჯნების გასწრება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ არ იქნება საწარმოო გეგმების შემცირების ტენდენცია. ასეთი პრაქტიკა მავნეა და შეიძლება უაღრესად უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობის მაჩვენებლებზე.

თუმცა მეტ წილ სახეობათა საგრეწველო პროდუქციის საგეგმო დავალებანი მთლიანად და გადაჭარბებითაა შესრულებული, მაგრამ ცალკეულმა სამინისტროებმა და საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან სახეობათა ნაწარმის გამოშვება. ეს არის ლითონსაჭრელი ჩარხები, ელექტროშესადუღებელი მოწყობილობა. ამწეს ელექტროძრავები, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, საშენი აგური, საკვადლე მასალები, სხვადასხვაგვარი ქსოვილი, ტყავის ფეხსაცმელი, პაპიროსი, სიგარეტი და სხვ.

სხდომაზე სამართლიანად გაკიცხეს ის სამინისტროები, უწყებანი და საწარმოები, რომლებმაც უგულებელყვეს ბრიგადების ინიციატივა, ბრიგადებმა ეს ინიციატივა ჩაიფიქრეს, ეს ინიციატივა ეფუძნებოდა ეკონომიკურ ანგარიშს, ეფუძნებოდა ეკონომიკურ ანგარიშს, ეფუძნებოდა ეკონომიკურ ანგარიშს,

სკკპ XXV ყრილობას— ღირსეული შეხვედრა!

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXV ყრილობის მოწვევის შესახებ მზურვალედ გამოეხმაურნენ კომუნისტები, ყველა მშრომელი. მას მახვილებს საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობა მოჰყვა. ყველგან — სამრეწველო საწარმოებსა და გაერთიანებებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში, შემოქმედებითს კავშირებში განიხილავენ, თუ რა პირადი წვლილი შეაქვს თვითეულ კომუნისტს სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მზადებაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, რომელიც 5 სექტემბრს გაიმართა, იყო დიდი მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა კეთდება პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა ფორუმის ღირსეული შეხვედრისათვის, როგორ ვითარდება ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრება, რომლის მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. მთელი მოშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიონის პირველი მდივნის **ნ. ენდელაძის**, მშრომელთა დეპუტატების ორკონიკიძის რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის **მ. ავალიანის**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის **ვ. შენგელიას**, თბილისის აბრეშუმის გაერთიანების ოსტატის თანაშემწის **ვ. გეგეშიძის** ინფორმაციები, თუ რა მოშაობა წარმოებს სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მასების დასარაზმავად.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი **ლ. ბგალობლიშვილი**, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი **ვ. მესხი**, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე, „მთავარმბრძანებლის" სამმართველოს უფროსი **ბ. ხუტუაშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი **გ. ცალკალამანიძე** და სხვები.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ხ. რიგვავას** ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ თბილისი სანიმუშო კომუნისტური კულტურის, შრომისა და ყოფა-ცხოვრების ქალაქი გახდეს.

ორატორებმა ხაზგასმით აღინიშნეს, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები დიდი ალერგოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ," დადგენილებაში დიდი მეფასება აქვს მიეცემოდეს ბევრი იმ კოლექტივისა და საწარმოს, წარმოების მოწინავეთა ინიციატივას და წამოწყებებს, რომლებმაც გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მომავალი ყრილობის აღსანიშნავად, რამაც დიდად შეიტანა ხელი შრომითი აქტივობის ამაღლებას. თბილისელები ყრილობის მნიშვნელოვანი წარმატებებით იკვებებიან. ქალაქის 60-ზე მეტი საწარმოს 200-დან ბრიგადა გამოეხმაურა ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის სოციალისტური შრომის ვმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. კურტანიძის მეკოპეთა ბრიგადის თაოსნობას დევნიზით „თვითეულ სამუშაო ადგილზე ხარისხის მაჩვენებლების გაუმჯობესება ჩავაყენოთ ხუთწლედის სამსახურში". ქალაქის საწარმოებში ფართოდ ინერგება ავრეთვე ბათუმელ მანქანათმშენებელთა გამოცდილება, რომლებმაც გაშალეს შეჯიბრება ხარისხის მაჩვენებელთა გაუმჯობესებისათვის. ბათუმელები იმისათვის იბრძვიან, რომ თვითეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე მაქსიმალური პროდუქცია მიიღონ და ამავე დროს გაზარდონ ფონდამოგება და შრომის ნაყოფიერება.

თბილისის 43 საწარმოს კოლექტივებმა უკვე უპატაჟეს სამშობლოს, რომ შესრულეს ხუთწლედის დავალებები და იკისრეს გაღდებულება ყრილობის აღსანიშნავად უფრო მაღალ მიჯნებს. მიაღწიონ.

ქალაქის მრეწველობამ ვადამდე, 25 ივლისისათვის შესრულა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის რვა თვის პროგრამა. ყოველდღე კონკრეტული ნაყოფი გამოაქვს მასობრივ ლაშქრობას იმისათვის, რომ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რვალიზებული იყოს 50 მილიონი მანეთის ზევეგმითი პროდუქცია. 8 თვის მანძილზე თბილისელმა მშრომელებმა სახელმწიფო გეგმის გადამეტებით უკვე გამოიმუშავეს და გაასაღეს 38 მილიონი მანეთის პროდუქცია. სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებიც ისწრაფვიან, რომ საეკონომო საწარმოო მაჩვენებლებით და ახალი წარმატებებით შეეგებნენ ყრილობას.

მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისა და მეათე ხუთწლედის საინეო სოფლის შექმნის ერთ-ერთი მთავარი პირობაა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება, რომელმაც უფრო სრულად გამოავლინა თავისი შესაძლებლობა და შეიძინა ახალი შინაარსი.

რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, გეგმაზომიერად და მიზანდასახულად სრულყოფენ ორგანიზაციულ-პარტიულ და პოლიტიკურ მუშაობას, სულ უფრო ზრდიან პარტიის საფუძველს — პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დედაქალაქის კომუნისტები, რომლებიც მოწინავე კოლექტივების ღონისძიებებს წარმართავენ უმაღლესი შედეგების მისაღწევად, ამავე დროს არ ივიწყებენ, რომ ქალაქში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი საწარმოები, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციები, სადაც სიგეგმე დავალებათა შესრულებაც კი დიდ დაძაბვას მოითხოვს. პარტიის საქალაქო კომიტეტმა ამოცანად დასახა, რომ ყრილობის გახსნის დღისათვის არ დარჩეს არცერთი კოლექტივი, რომელსაც შესრულებული არ ექნება გეგმა.

პლენუმის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **პ. გილაშვილმა.** განხილულ საკითხებზე მიღებული **შესაბამისი დადგენილებები.**

პლენუმის მონაწილეებმა ქალაქის ყველა კომუნისტს მოუწოდეს ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVI საქალაქო პარტიული კონფერენცია მოიწვიოს 1976 წლის 9 ივნვარს.

(საინფორმ.).



ხარისხი—ყველგან, ყველაფერში!

ფლეეულს მეთორმეტედ აღვნიშნავთ დღესასწაულს და ჩვენი კოლექტივები ტრადიციულად ეჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს. წარმატებები გვაქვს. ამის ადასტურებს თუნდაც ასეთი ფაქტი: 17 წელია, რაც ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში პირველად დანადგარები. მაგრამ ამ მოკლე ხანში ამ სიგეთით უკვე სარგებლობს საქართველოს 4 მილიონი მოსახლე, 300-ზე მეტი საწარმო და სოფლის მეურნეობის ობიექტი, 16 ათასი კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებელი.

სისტემის ყველა კოლექტივმა წლის განვლილ პერიოდში გადაჭარბებით გაანაღა სახელმწიფო დავალება. მარტო შვიდ თვეში გეგმის გადამეტებით დაფინანსებულია 6,2 ათასი ბინა, ნაცვლად 2,7 ათასი ბინისა მეტი.

მოხდა სიახლენი ჩვენს საქმიანობაში. კერძოდ, ის, რომ ბაზის ჩირაღდანი ანთო საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ქუთაისში.

წარმოების ეფექტიანობის გადიდების უმნიშვნელოვანესი ძალა ყოველთვის იყო და არის სოციალისტური შეჯიბრება. ამჟერად ჩვენს კოლექტივებში იგი გაშლილია დეკემბერ: ღირსეულად შეეხვედროთ სკკპ XXV ყრილობას. კოლექტივები ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ თბილისელ მეკოპეთა თაოსნობას, რომელიც ყოველ სამუშაო ადგილზე მუშაობის ხარისხის ამაღლებას ითვალისწინებს. ახლებური შეჯიბრება იმედს გვაძლევს, რომ უახლოეს წლებში მივაღწიოთ ბაზის ჩამოსხმის, ავსებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის შრომატევადობის და ავტომატიზაციის.

მუდამ ახლის ძიებაში არიან „სპეცორგაზის" სამმართველო, № 1 „რუსთაველგაზის" და № 5 „ქუთაისგაზის" ტრესტების, „თბილგაზისა" და „აჯარგაზის" საწარმოო სამმართველოების, რუსთავის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს, „ავსპეცგაზის" და „წყალტუბოგაზის" სამონტაჟო-საფეს-ლოტაცეო კანტორების კოლექტივები.

მომავალი ხუთწლედის გეგმები? მათი განაღდებისათვის ზურგს ჯერ ადრე ავეფარეთ, რადგან ისინი ძალიან დიდ მოთხოვნებს გვიყენებენ. ჩვენს ყველა შრომითს მიღწევას მომავალ ხუთწლედში მხოლოდ საეკონომო ხარისხის დამატება უნდა ქმნიდეს. ხარისხი — მოსახლეობის მომსახურებაში, ხარისხი — მშენებლობაში, ხარისხი — მრეწველობაში, ერთი სიტყვით, როგორც ამბობენ, ხარისხი — ყველგან და ყველაფერში!

მეათე ხუთწლედში პრაქტიკულად უნდა დაგამთავროთ ათასობული საცხოვრებელი ფონდის გაზიფიკაცია. განსაკუთრებით რეკონსტრუქციის მაგისტრალური გაზსადენის საეკსპლოატაციოდ გადაცემა თავის განზოგრებით. ამით ბუნებრივ გაზს მიიღებენ მადნეული, მარნეული, ბოლნისი და თელავი. ენერგეტიკის პროცესებში მაგისტრალური გაზსადენის გაყვანა ქუთაისი-სოხუმი-ბათუმი. თუ ეს დამტკიცდა, მაშინ ჩვენი ამოცანები მომავალ ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზრდება.

7 სექტემბერი გაზისა და ნავთობის მრეწველობის მუშაკთა დღეა

რა წარმატებით და სიახლით ხვდებიან „საქართველოს გაზიფიკაციის და ნავთობის მრეწველობის მუშაკები ტრადიციულ დღესასწაულს? რა ინიციატივას იჩენენ სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში? როგორია მათი გეგმები მომავალ მეათე ხუთწლედში? — ამის შესახებ მოთხრობილია ამჯ. გ. ბარძიმოვისა და რ. თევზაძის წერილებში.



დღეში ახლობელ ტონა ნავთობის პროდუქტებს იღებს და ამარაგებს საქართველოს **გაზიფიკატორები.**

კარბი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს **საქართველოს გაზიფიკატორები.**

სურათებზე — ზემოთ ნავთობბაზის ლაბორანტები ლ. მარიდაშვილი და დ. ოქროაშვილი ამოწმებენ ნავთობპროდუქტების ხვედრითს წონას; ქვემოთ — თბილგაზის მარეგულირებელი ხადგურის მოწინავე მორიგე მექანიკოსი ზ. გეთიაშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

ადმოჩენათა წელიწადი

ადმოჩენების წელიწადი მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. გეოლოგიური ძებნა-ძიებითი სამუშაოების მიცნერულ დონეზე აყვანამ, სწორმა ორგანიზაციამ თავისი შედეგი გამოიღო — აღმოვაჩინეთ ნავთობის ორი მაღალდებიტიანი საბადო. ნავთობის შადრევანი მოსჩქეფს შრომის უბანი — წყალწმინდის № 42 და სამგორ-პატარძეულის № 7 ჰაბურღილებიდან პირველი დასავლეთ საქართველოში — ღონჩხეთის რაიონშია, ხოლო მეორე აღმოსავლეთში — სიგნაღის რაიონში.

სამგორ-პატარძეულის საბადოში ამჟამად საკედელ-საიქსლოტაციო მდგომარეობაშია სამი ჰაბურღილი. ისინი ციალაკი დღეღამეში იძლევიან 500, 400 და 160 ტონა ნავთობს. ამით ჩვენ საშუალება მოგვეცა გასულ წელთან შედარებით ნავთობის დღეღამური დებიტი 200-ჯერ გაგვზარდა.

მკითხველებს სიამაყით უნდა გაცნობოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ნავთობის დიდ მდინარეს ერთვის ქართული ნავთობიც, რომლის „წონა" სულ ოერო იზრდება — ახლა დღეღამეში 1.100 ტონას აღწევს ეს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევაა. მაგრამ ამას ვერ დაკერდებით. გეოლოგიურ-გეოფიზიკური წინაპირობანი და ჩატარებული სამეშაოების ანალიზი გვიჩვენებენ, რომ ნავთობის მოპოვება შეიძლება გაიზარდოს დღეღამეში 2.000 ტონამდე.

საქნავთობის გაერთიანების პირადი თხოვნით წლიურს ორჯერ გაუდიდდა 1975 წლის ნავთობის მოპოვების საწარმოო გეგმა და 100 ათას ტონას მიეფინა, მაგრამ გარდა ამისა ჩვენმა კოლექტივმა დამატებით კიდევ იკისრა 25 ათასი ტონა ნავთობის მოპოვება. პირობის ვასრულებთ — წლიურ გეგმას ჯერ კიდევ აგვისტოში 3 ათასი ტონით გადავჭარბებთ, ახლა ნავთობს მოვიღებთ წლის ანგარიშში ვიძლევით. მიტაფ სასიხარულოა, რომ წლიურს მოვიპოვებთ იმდენი ნავთობი, რამდენსაც მთლიანად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა.

საქართველოს ნავთობის მრეწველობის აღმავლობას ხელს უწყობს ჩვენი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის არის გაშლილი. ნაკისრია ვალდებულება, რომ ყრილობის შესახვედრად დამკვრელურად ვიშრომოთ და დამატებით 100 ტონა ნავთობი კიდევ ამოვიღოთ.

მეათე ხუთწლედში ნელს წინა ნაწილ ოდი ამოვანებია. „მთავარ ყურადღება დავთმობთ ბურსპეტიული ობინის ათვისებას [illegible] — ბრომის, წყალწმინდ[illegible] ლესას, ნატანების, ბიდმეთალ[illegible] ოზამრარის, ზოლოკის და მერ[illegible] ებზნებზე. პერსპექტიული გეგმ[illegible] ნავთობის მოპოვებამ მომავალ[illegible] ხუთწლედის მიერო წელიწად[illegible] ასეულ ათასობით ტონას უნ[illegible] მიაღწიოს.

დიდი სამუშაო უნდა ჩატარ[illegible] საქართველოს ტრესტ „საქნავ[illegible] თობგეოფიზიკის" (მმართველი [illegible] სანანე, მთავარი ინჟინერი გ. ფ[illegible] ხაშვილი, მთავარი გეოლოგი [illegible] შენგელია) კოლექტივმა. მასზ[illegible] ბევრად არის დამოკიდებული ნ[illegible] ვთობისა და გაზის გეოლოგიურ[illegible] საძიებო სამუშაოების ეფექტ[illegible] რობა საქართველოში.

როცა ამ პერსპექტივებზე ვსაუბრობთ, იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მენავთობეები, რომ[illegible] ლებსაც თავდადებით უფ[illegible] თავიანთი საქმე, სრული პასუხ[illegible] მგებლობით მოეკიდებიან პარტ[illegible] ისა და მთავრობის ყოველ დ[illegible] წყვეტილებას და ენთუზიაზმ[illegible] შესასრულებენ გადიდებულ ვალ[illegible] დებულებებს.

რ. თევზაძე

„საქნავთობის" საწარმ[illegible] გაერთიანების გენერალურ[illegible] დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლვნება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 30-ე წლისთავს

1975 წლის 9 სექტემბერს, დღის 11 საათზე, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი აწყობენ ვიეტნამის **დემოკრატიული რესპუბლიკის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ გაერთიანებული სამეცნიერო სესიას.**

სესია გაიმართება საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტში (რუსთაველის პრ. 29).

საქალაქო ვეტერინარული კომენტარი

„ვერტიკალ-ე": თანამეგობრობა კოსმოსში

„ინტერკოსმოსის" პროგრამით კიდევ ერთი „ვერტიკალი" აფრინდა ცაში საბჭოთა კოსმოდრომიდან და 5C2 ალოლმეტრ სიმაღლეზე თავის სახელსაწყო კონტეინერით ბატანა ოთხი სოციალისტური ქვეყნის მეცნიერული აპარატურა.

„ვერტიკალ-3" გეოფიზიკური რაკეტის მეცნიერული კვლევის ძირითადი ამოცანაა დინამიკური პროცესების შესწავლა დედამიწის ზედა ატმოსფეროსა და იონოსფეროში, მზის ულტრაიისფერ გამოსხივებასთან ამ პროცესების კავშირის შესწავლა. ამ კვლევის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რადიოტალღების გავრცელებისა და შთანთქმის შესწავლისათვის. დედამიწის ატმოსფეროს სტანდარტული მოდელის შექმნისათვის, ავრეთვე ავიაციისა და კოსმონავტიკისათვის.

ხახელსაწყო კონტეინერზე, რომელიც რაკეტას ჩამოშორდა 97 კილომეტრ სიმაღლეზე, დადგმული იყო ხამეცნიერო აპარატურის დიდი კომპლექსი. მის შექმნაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო და სამეცნიერო ორგანიზაციები. მთელი რიგი ხელსაწყოები შექმნილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის სპეციალისტებთან თანამეგობრობით.

ხაკედლის კორესპონდენტმა ეკსპერიმენტის მონაწილეებს — ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატს სტეფანე ჩაპკინოვს (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა) და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გაგეს იურგენ რუსტენბახს სთხოვა ესაუბრათ ამ მუშაობის შესახებ.

— ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ცენტრალური ლაბორატორიისათვის, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ, — თქვა სტეფანე ჩაპკინოვმა, — ერთგვარად ტრადიციული გახდა კოსმოსური პლაზმის უშუალო გაზომვები საზონდიანი აპარატურის საშუალებით. საბჭოთა მეცნიერებთან თანამეგობრობით შექმნილმა ჩვენმა საზონდიანმა ხელსაწყოებმა უკვე წარმატებით იმუშავეს „ინტერკოსმოს-8"-ზე და „ინტერკოსმოს-12"-ზე თანამგზავრებზე. გეოფიზიკურ რაკეტებზე მოწყობილ ეფსპერიმენტებში ჩვენ პირველად ვმონაწილეობდით.

ტეპერატურის გაზომვისა და დამუხტული ნაწილაკების კონცენტრაციისათვის შევიმუშავეთ ახალი, უფრო სრულყოფილი ელექტრონიკა. ამ ხელსაწყოს გადამწოდები კი ჩვენმა

ბ. ბარძიმოვი,

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი.

ასე იყენებენ რეზერვებს

ფალენჯიხა მთაგორიანი რაიონია, სადაც ოდითგანვე მისდევენ მეცხოველეობას. საქმეყნოდ გაითქვა სახელი ვეარაცხელიას მეგრული ფოთელი ჯიშის პირუტყვის ჯოგმა, რომელიც მოდებულა ყოფილ მთელ დასავლეთ საქართველოს, მესხეთის ვილებს. ბუნებრივია, მეცხოველეობა მომგებიანი იყო.

მართალია, ფალენჯიხა რესპუბლიკის მეცრამეტიან რაიონების ჯგუფს მიეკუთვნება, სადაც სახნავ მიწებს 2.701 ჰექტარი უჭირავს და სამრეცველად 1.605 ჰექტარი ითესება, მაგრამ თუ გონიერულად, ღრმა ცოდნით მიეკედგებით საქმეს, დაეინახავთ, რომ მცირემიწიან ფალენჯიხაშიც არის ოამოყი რეზერვი მეცხოველეობის რენტაბელობისათვის, მისი საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

აბაში დაკვარმწეხა ამ უკანასკნელი 7 თვის მონაცემებმი: წლევანდელი წლის 7 თვეში რაიონში ერთ სულიერე ძროხაზე, შარშანდელთან შედარებით, 64 კილოგრამით მეტი რძე მიღებული. ხორცის წარმოება 499 ცენტნერით გაიზარდა, რძისა — 1.105 ცენტნერით. სახეიმწიფოს 165 ცენტნერით მეტი ხორცი და 825 ცენტნერით მეტი რძე მიეყიდა, მეცხოველეობიდან შემოსავალი კი 120 ათასი მანეთით გაიზარდა.

ვარდატეხა ძირითადად საკვები ბაზის განმტკიცებით მოხდა. გარდა სენაჟის დამზადების ეკვმისა (ეკვმა 500 ტონა, შესრულება — 413 ტონა), შარშან საკვების დამზადების ყველა სხვა სახის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ესე, რომ პირუტყვს წვნიანი და უხეში საკვები არ მოაკლდა.

ლანჩხუთელ მეცხოველეთა პატრიოტულ ინიციატივას, — მაქსიმალურად გამოვიყენოთ საკვების წარმოების ყველა რეზერვი, — აქტიურად გამოეხმაურნენ წალენჯიხელი მეცხოველეები.

აწონ-დაწონეს რა თავიანთი შეაძლებლობები, წალენჯიხელებმა გადაწყვიტეს წლიურს გეგმით გათვალისწინებული 4.426 ტონა საკვების ნაცვლად 5.270 ტონა მეცხოველეობისათვის ეს ბუნებრივი საკვები ბაზის შესაქმნელად ადგილობრივ ბალახებს ეძებდა. ბალახ-ბალახ ამოარჩევ-ამოარჩევ, ბალახ-ბალახ ინახავ-ინახავ, ბალახ-ბალახ ამზადებ-ამზადებ, ბალახ-ბალახ ... ეს ... ეს ... ეს

მსოფლიო დღეს

ჩილელ ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო კვირეული

თავისუფლება ჩილელ ხალხს!

4 სექტემბერს დიწყო საერთაშორისო კვირეული სოლიდარობის ნიშნად ჩილელ ხალხთან, რომელიც უკვე ორი წელია ფაშისტური დიქტატურის უღლის ქვეშ იმყოფება.

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ასიათასობით მცხოვრებმა მოაწერა ხელი პეტიციას, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვა პოლიტიკური პატიმრები. ამ მოწოდებით ხელმოწერის კამპანია ეწყობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველკვირეულს „პორიცონტის“ და რადიოსადგურის „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხმის“ ინიციატივით.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში სოლიდარობას უცხადებს ჩილელ პატრიოტთა ბრძოლას. ჩეხოსლოვაკიელი ქალიშვილები და ბებუკები მოითხოვენ ლუის კორვალანის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ჰავანა. კუბის ახალგაზრდა კომუნისტთა საბჭო საბრძოლო სოლიდარობას უცხადებს ჩილეს ანტიფაშისტურ ბოძრაობას და მთლიანად უპირს მხარს ჩილელ პატრიოტებს, რომლებიც იბრძვიან ლათინური ამერიკის მთელი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და სისხლიანი დიქტატურის წინააღმდეგ. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ კუბის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის განცხადებაში.

პარიზი. „ვიხსნათ ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნისა და სხვა პოლიტიკური პატიმრების სიცოცხლე“, „თავისუფლება ჩილელ პატრიოტებს“—ასეთი მოწოდებებით დიწყეს ხელმოწერის შეგროვება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის აქტივისტებმა.

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდესი სამრეწველო ცენტრი — მაინის ფრანკფურტი ჩილეს პატრიოტებთან სოლიდარობის მასობრივი დემონსტრაციის ადგილი გახდა. „თავისუფლება ჩილელ ხალხს!“, „თავისუფლება ლუის კორვალანსა და სხვა პოლიტიკურ პატიმრებს!“ — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა აქ გრანდიოზული მიტინგი.

ტოკიო. ლუის კორვალანისა და სხვა პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგებით იაპონიაში დაიწყო ჩილელ ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო კვირეული. ქვეყნის სხვადასხვა პროგრესული ორგანიზაციების წარმომადგენლები გამბენ პინოჩეტის სამხედრო-ფაშისტური რეჟიმის თვითნებობას.

კამპანიის დროს სახსრებს შეაგროვებენ ჩილელი ხალხის დასახმარებლად, გაიმართება მიტინგები და დემონსტრაციები.

ვარშავა. „შენთან ვართ, მამაცო ჩილელო ხალხო!“ — ასეთი დეკეტი მიმდინარეობს პოლონეთის ქალაქებსა და სოფლებში ჩილელ ხალხთან სოლიდარობის კვირეული.

ოთელ მსოფლიოში ფართოვდება სოლიდარობა ჩილელ ხალხთან, რომელიც ფაშისტური ხუნტის უკანონობისა და თვითნებობის წინააღმდეგ იბრძვის. მილიონობით ადამიანი მოითხოვს თავისი სამშობლოს უანგარო პატრიოტის, ხალხის ერთგული შვილის, ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანისა და სხვა პოლიტიკური პატიმრების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

სურათზე: კარლ მარქს-შტადტის (გდრ) ოლქის პალმირო ტოლიატის სახელობის ბანაკის ახალგაზრდა ხელს აწერს მოთხოვნას ლუის კორვალანის განთავისუფლების შესახებ.

(ცბ-ახალი ამბების საპენტრის ფოტო.)

საპარლამენტო ვიზიტი

ამერიკის კონგრესის სპიკერი სსრ კავშირში მოგზაურობის შესახებ

ვაშინგტონი, (საკადესი კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა კარლ ალბერტმა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირში ჩასვლამ მიმდინარე წლის აგვისტოში, როცა მოთათრობდა წარმომადგენელთა პალატის დელეგაციას, და სტუმართმოყვარეობამ, რომლითაც დელეგაციას მიიღეს.

განსაკუთრებით მადლობელი ვართ იმისათვის, რომ შესაძლებლობა მოგვეცა შევხვედროდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელმაც გულთბილად მიგვიღო, თქვა მან. გამართული საუბრის დროს შევეხეთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემას.

საპარლამენტო დელეგაციის ყველა წევრმა, განაცხადა კ. ალბერტმა, მაღალი შეფასება მისცა გულახდილ აზრთა გაზიარებას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. ჩვენი ვიზიტი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაციის წარშანდული ვიზიტი შეერთებულ შტატებში, ადასტურებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საპარლამენტთაშორისო გაცვლას ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ორი სახელმწიფოს ურთიერთობის გაფართოებას და მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არ არსებობს ისეთი პრობლემა, რომლის გადაჭრა არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით.

ვერ შეთანხმდნენ

ვაშინგტონი, (საკადესი). საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მორიგმა 30-ე სესიამ ისე დაამთავრა თავისი მუშაობა, რომ არ მიუღია კონკრეტული გადაწყვეტილებანი კაპიტალისტური ქვეყნების სავალუტო-საფინანსო და ეკონომიური კრიზისის დასაძლევად. ახლანდელ სესიაზე დისკუსიის მსვლელობას განსაზღვრავდა დაქვეითებისა და ინფლაციის სიმძაფრე, მაგრამ კამათის მონაწილეებმა მხოლოდ აღნიშნეს მათი არსებობა. ბევრი მიმომხილველის აზრით, უწინარეს ყოვლისა ეს იმით აიხსნება, რომ სულ უფრო განსხვავდება წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოებისა და მათი „უმცროსი პარტნიორების“ პოზიციები.

ფაქტიურად არ მიუღიარ რაიმე გადაწყვეტილება სავალუტო-საფინანსო სისტემის ძირეული რეფორმის შესახებაც, რომელსაც მოითხოვდა დელეგაციათა ძირითადი ნაწილი. შეერთებული შტატები, რომელიც ისწრაფვის შეინარჩუნოს თავისი გამბატონებული პოზიციები საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკში, დათანხმდა მხოლოდ თავისი წარმომადგენლობის უმნიშვნელო შემცირებას და კვლავ შეინარჩუნა უფლება, რომ მეტო დაადოს მისთვის არასასურველ ყველა გადაწყვეტილებას.

რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის წინააღმდეგ მოქმედმა სპეციალურმა კომიტეტმა მოითხოვა, რომ სამხრეთ აფრიკაში გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი და შეწყვეტონ ხასტიკი რეპრესიები რასობრივი დეკრიმინაციისა და აპარტეიდის მოწინააღმდეგეთა მიმართ. კომიტეტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ აფრიკის სამხრეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები მხოლოდ იმისათვის დააპატიმრეს, რომ იღვწოდნენ, რათა განხორციელებინათ სამხრეთ აფრიკის ჩაგრული ხალხის ერთიანობა აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამხრეთაფრიკელმა რასისტებმა დააპატიმრეს აფრიკელთა პროგრესული ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელი. ყბადაღებული „ტერორიზმის კანონის“ საფუძველზე და რასისტთა სასურველებში აწამებენ და ტანჯავენ მათ.

ამრიგად, აღნიშნულია დოკუმენტში, სამხრეთაფრიკელ რასისტებს განზრახული აქვთ შექმნან „მოდმიეი კომისია შინაგანი უშიშროების საკითხებზე“, რომლის მიზანი იქნება ყველა ანტირასისტული ჯგუფის დევნა და კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ამ სტუდენტთა და მასწავლებელთა დათრგუნვა, რომლებიც ოპოზიციას უწევენ აპარტეიდს. ამავე დროს აპარტეიდის რეჟიმი აძლიერებს რეპრესიებს აფრიკელთა ეროვნული კონგრესის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფერადკანიანი მოსახლეობის კონგრესისა და სამხრეთ აფრიკის პროფკავშირთა კონგრესის აქტივისტთა წინააღმდეგ.

სერიოზული შეშფოთება

ჟორჟ მარშეს განცხადება

პარიზი, (საკადესი). „ზეიმი „ლუმანიტეს“ გამოაქვეყნა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ჟორჟ მარშეს განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფრანგი მშრომელები აწყდებიან სერიოზულ სიძნელეებს და შეშფოთებული არიან საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების გამო.

შეეხო რა მთავრობის მიერ გამოცხადებულ ღონისძიებებს ეკონომიურ დარგში, ჟ. მარშემ თქვა, რომ ფაქტიურად ამ გეგმის მიზანია კონცენტრაციის გაძლიერება და რამდენიმე გიგანტური ტრესტის მოგების გადიდება, მას მოაყვება მხოლოდ მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითება, ინფლაციის გაძლიერება და უმუშევრობის ზრდა.

საფრანგეთის კომპარტიამ, თქვა ჟ. მარშემ, შეიმუშავა წინადადებანი, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ სახალხო მოხმარების ზრდა და მოსპონ უმუშევრობა. კომუნისტი დეპუტატები დაიცავენ ამ წინადადებებს პარლამენტში. კომუნისტური პარტია განაგრძობს მოღვაწეობას, რომლის მიზანია მიმარკვნენ ძალების კავშირის განმტკიცება და ერთობლივი პროგრამის გამოკვეთება, ეს ჩვენი მთავარი ამოცანაა და ეს არის კრიზისიდან თავის დაღწევის ერთადერთი შესაძლებელი გზა, ხაზგასმით აღნიშნა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა.

ეკონომიკა ციფრებში

საკადესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ნ ს ე ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

ლისაბონი

პრეზიდენტ კოუტა გომეშის მიმართვა დროებითი მთავრობის წევრებისადმი

ვაშინგტონი

ეძებენ სავალუტო-საფინანსო და ეკონომიური კრიზისიდან გამოსავალს

ნიუ-იორკი

მოითხოვენ სამხრეთ აფრიკაში ყველა პოლიტპატიმრის განთავისუფლებას

ბრაზილიელ ინტელიგენტთა ბედი

ეროზაბიქა

პრეზიდენტი

ბმას წინათ დასავლეთგერმანულმა პრესამ გამოაქვეყნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება. მოგვყავს იგი უკომენტაროდ როგორც პრეცედენტი:

„იმ გერმანული ან უცხოური წარმოშობის პირთა ნათესავებს, რომლებიც ომის წლებში დაჭრილი არიან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მიტლერული გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობისათვის, ამერიკიდან უფლება აქვთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიიღონ ისეთივე პენსია, როგორსაც იღებენ ფრონტზე დაღუპულ მოსამსახურეთა ნათესავები“,

იმას, თუ ვისი სარჩელით იყო გამოტანილი ასეთი „დიდსულოვანი“ გადაწყვეტილება, სასამართლო არ იტყობინება — საქმე დახურული წესით ირჩეოდა.

ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი... ლუდის გამყიდველი

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი სპირო აგნიუ, რომელმაც ამ ორიოდე წლის წინათ გადადგომა ითხოვა მას შემდეგ, რაც დიდი ქრთამის ფლობაში ამხილეს, ამირებს ლუდით ვაჭრობას მიჰყოს ხელი. როგორც „ატლანს დეილი პოსტი“ იუწყება, მას მოლაპარაკება ჰქონდა ამერიკის ლუდის მწარმოებელი უდიდესი ფირმის „ადოლფ კორსის“ წარმომადგენლებთან მათი პროდუქციით ტუბასში ვაჭრობის უფლების მისანდობად.

„რადიოშპარგალკა“

ბეტინგენის (გფრ) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მიმდინარეობდა გამოცდა სამოქალაქო სამართალში. ერთ-ერთმა სტუდენტმა, სგამოცდო დავალება რომ მიიღო, მაშინვე გარეთ გასვლა ითხოვა. ეს არც გაკვირვებია ვისმე, რადგან დასავლეთ გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში არსებული წესით გამოცდის დროს ავდიტორიიდან გასვლა ნებადართულია... რადგანაც ასეთ დღეებში სპეციალური მეთვალყურეები ყველა კუთხე-კუნჭულში მორგეობენ, თვით ტუალეტებშიც კი. სწორედ მან ამხილეს „ბოროტმოქმედი“, როცა იგი ერთ-ერთ ჯიხურში „ჩუმად თავის თავს ელაპარაკებოდა“. აღმოჩნდა, რომ მაკის ხაოში ჩადგმული ჰქონდა მინიგადამცემი, ხოლო პიჯაკის ჯიბეში მინიატურული რადიომიმღები.

სტუდენტი მორიგ გამოცდაზე ალარ დაუშვეს, მაგრამ კომისიამ გაათვალისწინა მისი ხაინჟინერო ტალანტი და ურჩია ტექნიკური დისციპლინებ ის შესწავლისათვის მოეკიდა ხელი, საქმე ეს არის, რომ მიმღებ-გადამცემი „რადიოშპარგალკა“ მომავალმა იურისტმა თვითონ შექმნა ხხვის დაუხმარებლად.

ხანძარი ნაკრძალზე

ნიუ-იორკი. ძლიერმა ქარმა კვლავ გაადვივა არნახული ხანძარი, რომელიც კალიფორნიის სექვოიის ეროვნულ ნაკრძალს მოედო, და შვიდი დღის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მეხანძრეებმა ძლივს მოახერხეს მისი ლოკალიზაცია. ქარით გადავიტანული ალი გახდა სასწრაფოდ გაკეთებულ ხანძრისაწინააღმდეგო გადამლობ ზოლებს და მოედო ნაკრძალის ახალ უბანს. ხანძრით გამოწვეულმა მატერიალურმა ზარალმა, როგორც ფიქრობენ, 2 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

ვარაუდობენ, რომ ხანძარი გაჩნდა კოცონის შედეგად, რომელიც დაუტოვებია ოთ ტურისტს.

მდგომარეობა პორტუგალიაში

- **განიხილავენ რევოლუციური საბჭოს შემადგენლობას**
- **ნეოფაშისტთა პროვოკაციები**
- **ა. კუნიალის ინტერვიუ**

ლისაბონი, (საკადესი). პრეზიდენტ კუუტა გომეშის გადაწყვეტილებით 5 სექტემბრის დილისათვის დანიშნული შეთანხმებული ქალების მოძრაობის ასამბლეის სხდომა გადადგა სხვადასხვა ტენდენციის ოფიციერთა ჯგუფების აზრთა სხვაობის გამო.

ასამბლეა დაიწყო მხოლოდ დღის ბოლოს ტანჯვაში სამხედრო ბაზაში ლისაბონის ჩრდილოეთით 100 კილომეტრზე. ასამბლეაში მონაწილეობენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის დელეგატები, აგრეთვე სახმელეთო არმიისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრები არაოფიციალურ და პირად საფუძველზე.

როგორც ადრე ვიუწყებოდით, ასამბლეაზე უნდა განხილოს რევოლუციური საბჭოს შემადგენლობის საკითხი, გამოთქვას თავისი დამოკიდებულება ქვეყნის სელმძღვანელ ორგანოებსა და უმაღლეს სამხედრო სარდლობაში პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ამას წინათ მომხდარი გადადგილების თაობაზე.

პრეზიდენტმა კუუტა გომეშმა გამოსცა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც სთხოვს ვასკუ გონსალვესსა და დროებითი მთავრობის სხვა წევრებს, განაგრძონ თავიანთი მოვალეობის შესრულება ახალი კაბინეტის შემადგენლობის ჩამოყალიბებამდე.

რეაქციული და ნეოფაშისტური ელემენტები, პორტუგალიის რევოლუციის მტრები თავიანთი მიზნებისათვის იყენებენ შეიარაღებული ძალების მოძრაობაში მომხდარ განსხვავებულობას და სამხედრო ოპოზიციის საქმიანობას. მათ დედაქალაქში მანიფესტაცია მოაწყვეს პროგრესული გაზეთის „დიარიუ დი ნოტიციაზის“ წინააღმდეგ, პროვოკაციულად გამოიწვიეს შეტაკება საარტილერიო პოლკის ჯარისკაცებთან, რომლებიც გაზეთის შენობას იცავდნენ. მაგრამ, რეაქციის ამ გამოხდომის მიუხედავად, „დიარიუ დი ნოტიციაზი“ დროზე გამოვიდა.

ბუდაპეშტი, (საკადესი). მიმაჩნია, რომ თუმცა პორტუგალიაში პოლიტიკური ვითარება უარესდება, ძალების თანაფარდობა კვლავაც რევოლუციური ძალების სასარგებლოდ რჩება, განაცხადა უნგრეთის დეპუტათა საკანონმდებლო მეცნიერულ ინსტიტუტში პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა. კომუნისტებს, თქვა მან, სურთ გაერთიანდნენ იმ ძალებთან, რომლებიც მხარს უჭერენ რევოლუციას. პორტუგალიის კომპარტიას მიაჩნია, რომ სოციალისტურმა პარტიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის ძიებაში.

კითხვაზე, ესწრაფვის თუ არა პორტუგალიის კომპარტია ახალი მთავრობის კოალიციის შექმნას, ა. კუნიალმა უპასუხა: ჩვენ არ გვსურს იძულებითი კოალიციის მთავრობა, მაგრამ ყველა შემთხვევაში გვინდა ახალი მთავრობა. ჩვენ ვეძებთ ისეთ მთავრობას, რომელსაც მხარს დაუჭერენ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ძალები.

კარიკატურისტის კომენტარი

საერთაშორისო მონოპოლიები ცდილობენ პორტუგალია ეკონომიურ ჩიხში მოაქციონ. „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნები, მაგალითად, ისეთ ეკონომიურ „დახმარებას“ სთავაზობენ, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ მონოპოლიებისა და რეაქციისათვის (გაზეთ:ებიდან).



მონოპოლისტური ბანკი. ვ. ლომიძის ნახატი.

საქმეები ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

ბონი

- **ეკონომიური სიძნელეთა შედეგად, რომელებსაც „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნები განიცდიან, იკ ზრდება უმუშევრობა და ძლიერდება ინფლაცია.**

ინგლისის პრესაში გამოქვეყნებული მონაცემებით, მიმდინარე წლის ივლისში უმუშევრობამ „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში მიაღწია დასაქმებულთა რიცხვის 6,5 პროცენტს, რაც ერთიორად აღემატება გასული წლის ამავე მაჩვენებელს.

დამასკო

- **მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების მიზნით სირიის პრეზიდენტის დეკრეტით შეიქმნა ფუფაიუს სასელმწიფო სამართველო.**

როგორც განაცხადა ამ სამართველოს გენერალურმა დირექტორმა, ყოფაი საკვების დამზადებას და განსაკუთრებით მის იმპორტს გააგებდა ახალი მთავრობა. ჩვენ ვეძებთ ისეთ მთავრობას, რომელსაც მხარს დაუჭერენ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ძალები.

ტრიპოლი

- **ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური საბრძოლველის ბრძანებით ქვეყანაში ნაციონალიზებულია ავტომობილებისა და ამთა სათადარიგო ნაწილების იმპორტიაა და გაყიდვის ყველა დიდი კერძო კომპანია, სახელმწიფოს გამგებლობაში გადავიდა აგრეთვე მიწები, რომლებსაც იჯარით აძლევდნენ ან გაკუთვნილი იყო შემოსავლიანი სახლების ასაგებად.**

დელი

- **ინდოეთის ქერალის შტატის მთავრობამ, რომელსაც ინდოეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე აგუტკა მენონი მეთაურობს, გამოაცხადა, რომ მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან ხელფასის მინიმუმს უდიდებს სოფლის მეურნეობის მუშებს. ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს შტატის სოფლის მეურნეობის 2,5 მილიონი მუშის მდგომარეობას, განაცხადა პრეს-კონფერენციაზე ქერალის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. ბ. პურუშოტამანმა.**

კვლავ ქალის იმედით

ჩრდილოეთ ირლანდიაში ზრდიან ინგლისის ჯარების რიცხვს

ლონდონი, (საკადესი). ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრმა მ. რისმა ბელფასტში გააკეთა მთავრობის განცხადება ოლსტერში მდგომარეობის გამძაფრებასთან დაკავშირებით.

მარტო ბოლო კვირის მანძილზე ბომბების აფეთქებისა და ელექტრომისტთა შეიარაღებული თავდასხმების შედეგად პროვინციაში დაიღუპა 10 და დაშავდა რამდენიმე ათეული კაცი.

მ. რისმა, რომელიც ბელფასტში გამოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრთან ჰ. ვილსონთან შეხვედრის შემდეგ, აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში უნდა გაზარდონ ინგლისის ჯარების რიცხვი. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები: ინგლისის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ოლსტერში გაგზავნეს კიდევ 650 ჯარისკაცი.

ამრიგად, ახლა ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის საერთო რიცხვი პროვინციაში 14,8 ათასია. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ირლანდიის „ფუშშროების ძალების“ შემადგენლობაში ადგილობრივი პოლიცია და 8-ათასიანი „ოლსტერის თავდაცვის პოლკი“, რომელიც არმიის სარდლობას ექვემდებარება.

როგორც ხაზგასმით აღნიშნავენ ადგილობრივი მიმომხილველები, სამხედრო ძალის გაძლიერება, რასაც უკვე მრავალგზის მიმართა ლონდონმა, ამჟერადაც ვერ შეცვლის ვითარებას ოლსტერში.

„ახალი ჯარისკაცები — ეს პაასუხი არ არის. ჯარისკაცებმა, ინტერნირებამ, რეპრესიებმა დღემდე ეფექტი ვერ შეცვალეს“. — წერს „მორნინგ სტარი“. — ჩრდილოეთ ირლანდიის პრობლემა შეიძლება გადაჭრას მხოლოდ ოლსტერის მთელი მოსახლეობის დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლით, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

აპრიტიკებენ მთავრობას

ბელეკაული. (საკადესის კორ.). აქ დამთავრდა ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის 107-ე ყოველწლიური სესია.

ყრილობაზე ჩამოყალიბეს პროფკავშირთა პროგრამა ინგლისის ომისშემდგომ ისტორიაში ყველაზე მძიმე ეკონომიური კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. დელეგატებმა გააკრიტიკეს ლეიბორისტული მთავრობა იმისათვის, რომ თავს არიდებს მთელი რიგ ფუძემნიშვნელოვან წინასაარჩევნო დაპირებათა შესრულებას. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნდა განხორციელდეს რადიკალური ეკონომიური რეფორმები, კერძოდ, გაფართოდეს სახელმწიფო სექტორი მრეწველობაში, ხელახლა განაწილდეს ეროვნული შემოსავალი, შემცირდეს ასიგნებანი შეიარაღებისათვის. დელეგატებმა მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს ინფლაციის ეფექტური ბრძოლა.

დამთავრდა ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის ყრილობა

ლონდონი, (საკადესი). ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის ყრილობა, ოფიციალურ ანგარიშებით, 1,2 მილიონი უმუშევარია.

დელეგატებმა გააკეთეს მთავრობის ანტისაინფლაციო ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომლებიც ითვალისწინებენ ხელფასის იძულებითს შეზღუდვას, და აღნიშნეს, რომ ეს არის ხელისუფალთა ცდა ინფლაცია დაძლიონ მშრომელთა ხარჯზე. ყრილობამ მოითხოვა პენსიების მომატება, ჯანმრთელობის დაცვისათვის, სანიაო მშენებლობისა და განათლებისათვის სახელმწიფო ასიგნებათა გადიდება.

დრომოჭმული რეჭიმი

ჰაიტის დიქტატორის ფრანს დიუვალიეს (მეტსახელად მამა დოკის) სიკვდილით პრეზიდენტის პორტო-პრენსში მდებარე სადედაქალაქო სასახლის პირქუშ გარეგნობამდე ბევრი არაფერი შეცვლილა. იგი ძველებურად უფრო სამხედრო სიმაგრეს მოგაგონებთ, ვიდრე „ხალხის მამის“ ანდა „სიმშვიდის გამბედნიერებლის“ (როგორც დიუვალიე თავს იძახდა) რეზიდენციას. როგორც მექსიკელი ჟურნალისტი რ. არტეაგი ადასტურებს, სასახლის ბაღში დგას „ოთხი საზეიმო ზარაბანი, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან ეცემინოს. საშინელ, მუდამ გამოდებული ექვსი ტანკი, სამხედრო ტვირთმზიდავები. ფანჯრებში ლულები გამოუყვიათ ქვემეხებს, შაშხანებითა და ხიშტებით შეიარაღებული ჯარისკაცები მაღალი გალავნის გაყოლებით დადიან“. ერთადერთი, რაც აქ შეიცვალა, სასახლის პატრონია. ექვს ოთხ წელიწადიდან ჰაიტის პრეზიდენტი დიუვალიეს ვიეი — ივნ კლოდი (მეტსახელად ბები დოკი) გახლავთ.

„სინდისგარეცხილმა რეჟიმმა— წერდა ამერიკული გაზეთი „ნიუიორკ ტაიმსი“ — ხუთმილიონიანი ჰაიტი საშინელ, უიმედო სიღატაკეში ჩააგდო. მან ველურობისა და სიმხეცის ისეთი რეკორდი დაამყარა, რომელსაც ვერც ჰაიტაზე დიუვალიეს წინამორბედი გაუტოლდება და ვერც მისი გარდაცვლილი მეზობელი, დომინგოს „პრეზიდენტი“ გენერალისიმუსი ტრუხილიო.

ამას წინათ, ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი ჟორჟ ფურნიალი წერდა, რომ ჰაიტის მოსახლეობის 90 პროცენტი, უწიგნურია. დედაქალაქის სკოლის ერთ კლასში 40 მოსწავლედან 37 ტუბერკულოზით არის დაავადებული. აქ ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი 120 დოლარს შეადგენს — ჰაიტი ლათინური ამერიკის უღარიბესი ქვეყნების სიის სათავეშია. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა აქ 50 წელს არ აღემატება. ქვეყანაში მხოლოდ 300 ექიმია. ამიტომაც ჰაიტიზე შიმშილი მძვინვარებს. ბრინჯი, ლობიო, სამინდი—მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტები სიძვირის გამო ომრავლისობისათვის მიუწვდომელია. ეს ახალი უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ქვეყანას, საოცრად მომწყვიტა, ამის საფუძველები შექმნა ჯერ კიდევ მამა დოკმა, ხოლო ბები დოკმა მამის საქმე გააგრძელა.

როგორც ცნობილია დიქტატორი, ახლანდელი უწიგნური მმართველიც ამით-იმით ოლანგავს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს. ასე გაიყიდა ნავთობი, ბოქსიტები, სპილენძი და მთელი ტყეშეული ტორტუგაც კი, რომელიც 100 წლით გადაეცა ამერიკის კომპანია „დიუპონ კარიბიენს“. ოგივე ბედი ეწია ზღვის ნაპირას მდებარე შედარებით ნაყოფიერ მიწებს, რომლებზეც ტრადიციულად ჰაიტის კუნძულის მოსახლეობის საკვები პროდუქტების დიდი ნაწილი მოდიოდა.

სანაპიროს მიწების ახალი მეპატრონეები — უცხოეთის კომპანიები და ადგილობრივი მსხვილი ბურჟუაზია მალე მიხვდნენ, რომ ლატაკი საშინაო ბაზარი უპერსპექტივო იყო, და იმ კულტურების პლანტაციების გაშენება დაიწყეს, რომლებიც მხოლოდ „მდიდარ ქვეყნებში“ საექსპორტოდ გამოდგებოდა. წვრილი ფერმერები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ყვების პროდუქტებს აწარმოებდნენ, შეავიწროვეს ქვეყნის გვალვიანი რაიონებისაკენ, რის გამოც სოფლის მეურნეობა დაკვმის გზას დაადგა. ჰაიტის შავბნელი გესტაპოელების „ტონტონმაკუტების“ მეთვალყურეობის ქვეშ მყოფმა კომპარტიამ ამას წინათ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია: დიუვალიეს დიქტატურა ერთი მხრივ გაბლართულია თავისსავე წინააღმდეგობებში და უფრო და უფრო ავლენს თავის უუნარობას ქვეყნის წინაშე მდგომი სერიოზული პრობლემების გადაწყვეტაში, ეს ბრალია ნაკლოვანი, ბოქსიტები, სპილენძი და მთელი ტყეშეული ტორტუგაც კი, რომელიც 100 წლით გადაეცა ამერიკის კომპანია „დიუპონ კარიბიენს“. ოგივე ბედი ეწია ზღვის ნაპირას მდებარე შედარებით ნაყოფიერ მიწებს, რომლებზეც ტრადიციულად ჰაიტის კუნძულის მოსახლეობის საკვები პროდუქტების დიდი ნაწილი მოდიოდა.

მამა დოკი, ბები დოკი...

ლპება, იხრწნება და ამაოდ ეძებს საშუალებებს ხილისოფლების შესანარჩუნებლად, მეორე მხრივ, რეჟიმით უკმაყოფილება, რომელიც მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენებს მოიცავს, ხელს უწყობს ჩვენი პარტიის პოზიციის განმტკიცებას.

კ. ქარუმიძე.

• • •

სურათზე: ბები დოკს ეშინია. ეშინია ხალხის რისხვისა. ამიტომაც არ იცილებს რევოლვერებს, რომლებიც მუდამ ორივე ხელში უჭირავს.

ფოტო ბელგიის ყოველკვირეული „დრაპო რუჟიდან“.

თეატრი

გასტროლები და შთაბეჭდილებები

მეგობართა ზელოვნებამ გაგვაზარა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრის“ მოწვევით თბილისში სპექტაკლები აქვს ტალინის ვ. კიგგისუპის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრს. ესტონელმა მსახიობებმა პირველ სპექტაკლად რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ქართველ მაყურებლებს უჩვენეს ი. სმუულის სამმოქმედებიანი დრამა „ლეა“, ხოლო შემდეგ — ჰ. ბარის კომედია „მამაკაცი, ქალი და კონცერტი“.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ქართული თეატრის მოღვაწეებს სთხოვა თავიანთი აზრი გამოთქვათ ესტონელთა სპექტაკლებზე.

დიმიტრი ალექსიძე,
საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტი

ტალინის კინგისეპის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრი ერთ-ერთი პოპულარული და სანტვერესო კოლექტივია საბჭოთა კავშირის მრავალეროვან თეატრალურ ოჯახში.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მას ხელმძღვანელობს საბჭოთა რეჟისურის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვოლდემარ პანსო.

მე ბედნიერება მქონდა ვოლდემარ პანსოსთან ერთად ვყოფილიყავი მოსკოვიო თეატრალური ინსტიტუტის მე-11 კონგრესზე დასავლეთ ბერლინში. იგი შესანიშნავი ადამიანია... თბილისში წარმოდგენილი ორივე სპექტაკლი ამ ნიჭიერი რეჟისორის დადგმულია. დიდი შთაბეჭდილება დატოვა რეჟისორის ნამუშევარმა, მთლიანად სპექტაკლების გაჯერვამ, დეკორატიულმა გაფორმებამ. აღსანიშნავია ძლიერი აქტიორული ანსამბლი, დაბეჭდილი მიზანსცენები, სპექტაკლების გარეგანი სიხეფრე და დიდი შინაგანი ფსიქოლოგიური დატვირთვა.

გიორგი გეგეჭკორი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

ესტონელთა სპექტაკლე ბ. შიანობთა ანსამბლი ძალიან კარგად არის შეკრული. ყველა მოქმედებს დამაჯერებლად, ოსტატურად. მაგრამ მაინც უნდა გამოვყო მთავარი როლის შემსრულებელი კატრინ კარისმა. მისი ლეა სოლიდად უშუალო, წრფელი და ემოციურია. მსახიობმა მშვენივრად გადმოსცა მთავარი გმირის ხასიათის გარდატეხა, დიდი რწმენა იმისა, რომ ნამდვილი ცხოვრება წინ არის.

მახარებს ესტონელი მეგობრების შემოქმედება, მათი ჭეშმარიტი ხელოვნება.

სურათზე: ტალინელთა სპექტაკლის „ლეას“ ერთ-ერთი სცენა. ლეა—კატრინ კარისმა (მარჯვნივ) და ესკო—მატი კლოოსენი.

ბ. სანაიას ფოტო.

ჟურნალ „ნაცვლის“ ... ...